ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2925217

ნომერი: AR1451512

თარიღი : 26.10.2016

გაცემის თარიღი : 02.11.2016

გაცნობის თარიღი : 03.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარაზის ხევში ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვანო გარსევანიშვილი პ/ნ 01017043536
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 8

ორგანიზაცია:
- ვარაზის ხევი 95 კოდი: 204900358

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2016 წ. №2593328 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26.10.2016 წ. №AR1451512 განცხადებით მომართა ვანო გარსევანიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 20.05.2016 წ. №2593328 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ

– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2016 წ. №2593328 ბრძანებით ქ. თბილისში, ვარაზის ხევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1210 კვ.მ.; საკადასტრო კოდი №01.14.14.010.002) საზოგადოებრივი კვების ობიექტი (რესტორანი) აშენების მიზნით დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 23.09.2016 წ. №2851078 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებული უნდა ყოფილიყო ავტოსადგომები, უფლებამოსილი საბჭოს სხდომაზე განხილულ ესკიზურ ვარიანტში არ იყო გათვალისწინებული ავროსადგომები. ვინაიდან, ავტოსადგომების მოწყობა ვერ ხერხდება ნარგავების მოჭრის გარეშე, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ამოღებული იქნეს ზემოხსენებული ჩანაწერი ავტოსადგომების მოწყობის შესახებ.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2016 წ. №2593328 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას ჩანაწერი: „ღია ავტოსადგომების განთავსება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. ამასთან, არაერთგვაროვანი და რთული რელიეფის პირობებში, სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწის ქვეშა ავტოსადგომები)“ ასევე ამოღებული იქნას გაფრთხილება პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გენგეგმა პარკირების ჩვენებით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2016 წ. №2593328 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 23.09.2016 წ. №2851078 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.